

## „სელტიკთან“ შეხვედრის წინ

თბილისის „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე დილომში ინტენსიურად ემზადებიან კიეველი ფეხბურთელები, რომლებმაც ამ დღეებში თბილისში უნდა მიიღონ შოტლანდიის „სელტიკი“. ეს იქნება მათი განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები ვარჯიშზე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 14 (2991) • ხუთშაბათი, 20 იანვარი, 1966 წ. • ფასი 3 კაპ.


## საბჭოთა ნაკრები გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში

მოსკოვი, 19 იანვარი. დღეს დილით საზღვარგარეთ გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მსოფლიო ჩემპიონების — ბრაზილიელების საფეხბურთო მინდვრებზე საბჭოთა სპორტსმენები 6 მატჩს გამართავენ, ხოლო შემდეგ სამჯერ იასპარეზებენ ჩილიელებთან და თითოჯერ — არგენტინელ და ურუგვაელ ფეხბურთელებთან.

საბჭოთა ფეხბურთის ღირსებას დაიცავენ: ლ. იაშინი, ა. კავაზაშვილი, ვ. პონომარიოვი, ა. შესტერნიოვი, ვ. აფონინი, ვ. გეტმანოვი, ვ. დანილოვი, ვ. ვორონინი, გ. ჰუსაინოვი, ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი, ა. ბანიშევსკი, ო. კოპაევი, ე. მალაფეევი, მ. მესხი, ი. ჩისლენკო, აგრეთვე კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები ი. საბო, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. ხმელნიცკი და ა. ბიბა, რომლებიც თბილისში გლაზგოს „სელტიკთან“ მატჩის შემდეგ შეუერთდებიან ნაკრების წევრებს.



## თბილისელთა უპირატესობით

ახლახან თბილისში დამთავრდა ახალგაზრდა მოფარიკავეთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ დედაქალაქის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავისა და ზესტაფონის გუნდები და სპორტსმენები.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა თბილისის ძლიერმა კოლექტივმა, რომელიც ფაქტიურად კონკურენციის გარეშე იდგა. მომდევნო პრიზიორები გახდნენ ქუთაისისა და რუსთავის გუნდები.

პირად ასპარეზობაში რაპირისტ ვაჟთა შორის გაიმარჯვა მ. სიდამონიძემ, გოგონათა შორის — ს. სვანიძემ. დაშნით ბრძოლაში ყველას აჯობა თ. კობიძემ, ესპადრონით — მ. ასათიანმა.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ახალგაზრდა მოფარიკავეთა ნაკრები, რომელიც საკავშირო პირველობისთვის მოემზადება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რაპირისტ ვაჟთა შორის გამარჯვებული მ. სიდამონიძე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## მოკლედ საათი!

◆ კასაბლანკა, 19 იანვარი. მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელმა ვაჟებმა განმეორებით მატჩში დაამარცხეს ადგილობრივი კკკ-ს სპორტსმენები — 3:0 (15:4, 15:10, 15:11). საბჭოთა ფრენბურთელები გავიდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში.

◆ მოსკოვი, 19 იანვარი. დღეს ჰანოვერში გაფრინდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები ტანვარჯიშში ნ. კუჩინსკაია და ს. დიამიდოვი, აგრეთვე მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლ. ლატინინა. ისინი მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ ფესტივალში.

## უცხოური ამბები

● ინვერკარდილი (ახალი ზელანდია), 18 იანვარი. კვლავ ბრწყინვალე ოსტატობა გამოავლინა აქ გამართულ შეჯიბრებაში საბჭოთა მძლეოსანმა თ. პრესმა: მან ბადრო ტყორცნა 55,13 მეტრზე, ხოლო ბირთვი ჰკრა 17,02 მეტრზე. ასეთი შედეგები ამ ქვეყანაში ჯერჯერობით არც ერთ სპორტსმენს არ უჩვენებია. სსრ კავშირის ჩემპიონმა, 20 წლის ო. რაიკომ (ლენინგრადი) კვლავ ისახელა თავი 1500 მეტრზე რბენაში. იგი პირველი იყო — 3.52,0. წარუმატებლად გამოვიდა ი. პრესი 80 მეტრზე თარჯრბენში. იგი შესვდა ავსტრალიელ პ. კილბორნს პრესმა ფეხი წამოკრა მეორე თარჯს და ბრძოლას გამოეთიშა. კილბორნმა ეულად დაამთავრა რბოლა — 11,1.

● მოსკოვი, 18 იანვარი. ხვალ აქ იწყება მოსკოვისა და ფინეთის ავტომობილისტთა შეჯიბრება ყინულზე რბოლაში. ეს კარგი რეპეტიცია იქნება მსოფლიო პირველობის წინ, რომელიც, როგორც ცნობილია, სსრ კავშირში გაიმართება.

● მელბურნი, 18 იანვარი. 1965 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი — ავსტრალიელი მძლეოსანი რ. კლარკი აღარ აპირებს შეასრულოს დაპირება 1966 წელს ავსტრალიის გარეთ შეჯიბრებებში გამოუსვლელობის თაობაზე. თებერვალში იგი გაემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში და შეეცდება რევანში აიღოს კენიელ კ. კეინოსთან ორთაბრძოლაში. ამ გამგზავრებასთან დაკავშირებით, კლარკმა ამას წინათ მონაწილეობა მიიღო 5 კილომეტრზე რბენაში. მისი დრო 13.31,2.



წყალში ხტომის საბჭოთა ოსტატი ქალები წარმატებით უტევენ სპორტულ მწვერვალებს. ამის ნათელი დადასტურებაა მოსკოველი მოსწავლეების თ. ფედოსოვას, ნ. კუზნეცოვასა და მათი უმცროსი კოლეგა ე. ანოხინას წარმატებები ევროპის ჩემპიონატში.

ს უ რ ა თ ზ ე: ე. ანოხინა ვარჯიშისას.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## ● რ. ბოსტონის ტრაგედია ● VI ტურში

„მე ჯვარი უნდა დავუსვა შეჯიბრებებს ამ ზამთარში“, — ნაღვლიანად უთხრა ჟურნალისტებს ქ. ნეშვილში მსოფლიოს რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში რალფ ბოსტონმა. მან შარშანდელი ზაფხულის მიწურულს ფეხი დაიზიანა და წლეულს, სან-ფრანცისკოს დარბაზში გამართულ პირველივე გამოსვლისას ხის მაგარმა ბილიკმა ბოსტონს „ძველი იარა“ გაუხსნა.

ახლა რეკორდსმენს მოელის ხანგრძლივი მკურნალობა ულტრაბგერით. სათუოა არა მარტო ბოსტონის გამოსვლები ზამთრის შეჯიბრებებში, არამედ მისი სპორტული კარიერის მომავალიც...

✦

ბევერვეიკი, 19 იანვარი. ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალის მთავარი ტურნირის VI ტურში ლ. პოლუგაევსკიმ მოუგო ინდონეზიელ ა. ბახტიარს. იუგოსლავიელი ბ. ივკოვი და უნგრელი ი. ბილეკი ყაიმზე შეთანხმდნენ. ახლა პოლუგაევსკის 5,5 ქულა აქვს, ივკოვს — 5, ბილეკსა და მის თანამემამულე ლ. საბოს — 4-4. ამ ტურში წარუმატებლად ითამაშა საბჭოთა ოსტატმა ი. ნეიმ. იგი დამარცხდა ჰოლანდიელ ვან დენ ბერგთან.

## ყველა მეტოქე დაამარცხეს

### თბილისის „ნორჩ დინამოელთა“ წარმატება

იანვრის სასკოლო არდადეგების დღეებში ჩატარდა 1948-1949 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრების შესარჩევი თამაშები კალათბურთში.

კიევის ჯგუფში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის „ნორჩი დინამოელები“ (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ავალიშვილი). თბილისელმა ჭაბუკებმა ყველა შეხვედრა ალმავლობით ჩაატარეს და დაამარცხეს რსფსრ-ს (71:63), სომხეთის (88:56), აზერბაიჯანის (76:58), უკრაინის (71:65), ლენინგრადის (68:44) გუნდები და ფინალში გავიდნენ. მათთან ერთად ფინალში ითამაშებს II ადგილზე გასული რსფსრ-ს კოლექტივი.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ სპეციალური პრიზები გადაეცათ: მ. ქორქიას — ტურნირის ყველაზე შედეგიან თავდამსხმელს და ჯ. ნინიაშვილს — საჯარიმო ტყორცნების საუკეთესო შემსრულებელს.

ამ ტურნირის დაწყებამდე გაიმართა შეჯიბრება სპეციალურ ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებაში. აქაც ჩვენებმა იმარჯვეს — პირველობა არავის დაუთმეს. პირად შეჯიბრებაში I ადგილი აიღო თ. ჟურულმა.

წარუმატებლად გამოვიდა თბილისის განათლების განყოფილების კალათბურთელ გოგონათა გუნდი. მან მხოლოდ IV ადგილი დაიკავა და ფინალის მიღმა დარჩა.

ფინალური ტურნირი გაიმართება მარტის არდადეგების დროს კალინინში.

მ. ქურიძე,

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ფართო სარბიელი

...თამაში გამძაფრდა. ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. მაყურებლები ღელავდნენ.

ვაჟა ჩუმად იჯდა და მთელის გულისყურით მისჩერებოდა მოასპარეზეებს.

...აგერ, მაღლა ატყორცნილ ბურთს თვალი შეავლო და სხარტი, მოქნილი მოძრაობით ბურთისკენ გაიჭრა, დრო და მანძილი ზუსტად მოზომა. „ისევ შემძლებია“, — გაიფიქრა და დაბლა დაშვებულ ბურთს მკლავები ჯერ მარწუხებივით შემოაჭდო. მერე მეტოქის ფარისკენ გაიქცა. ბურთი მაღლა შეაგდო. თვალმა და ხელებმა მანძილი კვლავ ზუსტად მოზომეს. „არის, არის!“ — დაიჭექა დარბაზმა.

ვაჟა ფიქრებიდან გამოერკვა. ხალხი გასასვლელს მიაწყდა. ვაჟაც წამოდგა და ხალხის ტალღას როგორღაც მექანიკურად გაჰყვა. თვალწინ ისევ ის მღელვარე თამაში ედგა.

ვესტიბიულში ვილაცამ მკლავში მოჰკიდა ხელი თავი მიაბრუნა, სახე გაებადრა.

— გოგი, შენ?...

— ჰო, მე... როგორი იყო, ბიჭო, ა?

— კარგი, საოცრად კარგი. ორივე გუნდი მშვენივრად თამაშობდა. მინდოდა ჩვენი ბიჭებისთვის მიმელოცა, მაგრამ...

— მერე რატომ არ მიხვედი?

— სამუშაო აი, აქამდე მაქვს, — საჩვენებელი თითი ყელში გამოისვა. — დისერტაციას ჯერ კიდევ ვერ მოვაბი თავი, დიდძალი მასალა დამიგროვდა.

დუმილით გაუყვნენ ქუჩას. გოგი ფიქრობდა ვაჟაზე: „ეს კაცი სულ რამდენიმე წლის წინ ჩვენი „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი წევრი იყო. თამაში კიდევ შეეძლო, მაგრამ მეცნიერებისკენ სწრაფვამ გადასძალა“.

* * *

ვაჟა გვანცელაძემ სამედიცინო ინსტიტუტი 1955 წელს დაამთავრა. ურჩიეს იქვე დარჩენილიყო — საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ორდინატორის ადგილი შესთავაზეს. ვაჟამ ყოველივე ეს სიხარულით მიიღო. ან რა ჰქონდა საწინააღმდეგო?! ყველაფერი ზუსტად ისე გამოვიდა, როგორც თავად ოცნებობდა. ისევ თბილისი, ღამის გაჩირაღდნებული პროსპექტები და, რაც მთავარია, კლინიკა, ინსტიტუტი, მაღლა ატყორცნილი ბურთი და მეტოქეებთან ვაჟკაცური ბრძოლა.

აი, ამგვარად მიდიოდა დღეები. ვაჟა გვანცელაძეს იცნობდნენ როგორც კეთილსინდისიერ სპორტსმენს, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის, ასე ვთქვათ, სრულუფლებიან წევრს.

ამავე დროს, დაუღალავი სპორტსმენი ასეთივე დაჟინებით, სულ უფრო ღრმად წვდებოდა მედიცინის სამყაროს გამოჩენილი მეცნიერების, პროფესორების გ. მხეიძისა და ა. ბაკურაძის ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდა ორდინატორის უნარი და მონდომება მხედველობიდან ხომ არ გამორჩებოდათ! 1959 წელს ვ. გვანცელაძე გადაიყვანეს ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ასისტენტად. ამავე წელს გამოეთხოვა სპორტსმენი თავის საყვარელ გუნდს. არჩეული პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარულმა თავისი გაიტანა და ცხოვრებაც ამ გზით განაგრძო.

ვაჟას ადრევე აინტერესებდა საქართველოს მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები. ასეთი წყალი ჩვენს დალოცვილ რესპუბლიკაში რამდენიც გნებავთ იმდენია. დისერტანტის არჩევანი საბოლოოდ „ზვარეზე“ შეჩერდა. თავაუღებელმა შრომამ თავისი გაიტანა — ვაჟა 8 სამეცნიერო შრომის ავტორი გახდა. მაგრამ მთავარი მაინც წინ იყო...

...სამედიცინო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. კათედრაზე ბრგე, ახოვანი აგებულების ახალგაზრდა ვაჟი იდგა. იგი ისე ღელავდა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩის წინ. არა, უფრო მეტად!

...დისერტაციის დაცვა დამთავრდა. ოპონენტებმა, სიტყვით გამოსულებმა და სამეცნიერო საბჭომ ვაჟა გვანცელაძის საკანდიდატო შრომა სათანადოდ შეაფასეს. მადლიანი თვალებით შეჰყურებდა იგი თავის აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებს, ხადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებს. მერე სპორტსმენებმა დაიმარტოხელეს და კარგა ხანს აბურთავეს, როგორც ძალიან საპასუხისმგებლო მატჩის მოგების შემდეგ...

* * *

ლალი და ნანა ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას უსხედან. ლალი III კლასშია და პირველკლასელ დას ეხმარება. დედა სამზარეულოში ვახშმის თადარიგს იჭერს.

ქუჩაში მანქანა გაიხმაურებს. ლალი და ნანა ფანჯარასთან მიირბენენ. მანქანა მათ ჭიშკარს გასცდება. მამა არა ჩანს... იგი ხშირად იგვიანებს. ხანდახან ღამითაც ვერ ბრუნდება შინ. სამსახურში — თბილისის მე-8 კლინიკურ საავადმყოფოში რჩება. გოგონები ფიქრობენ მამაზე და იმ უცნობზე, რომელიც ძალიან ავადაა და მამას მისი მიტოვება არ შეუძლია.

თ. კოპალეიშვილი.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: ვ. გვანცელაძე (მარჯვნიდან პირველი) კლინიკაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

---

## საჭიროთ ვარჯიში

# ვალდებულებათა გასანაღდებლად

გამთარი როდი აშინებთ კოლმეურნეებს. ისინი ჯარასავით ტრიალებენ მინდვრებსა და პლანტაციებში. ასეა ყოველდღე აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთის სასოფლო-სამეურნეო არტელში. შარშან სეფიეთელმა მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ მათ ეს როდი აკმაყოფილებთ.

შრომითს ავანგარდში აქ ახალგაზრდები — ფიზკულტურელები არიან, რომელთაც სათავეში უდგას კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ა. მაჭავარიანი. სპორტსმენები ნ. ოჩიგავა, დ. გოგონაია, გ. მელია და სხვები ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მათ ვალდებულება იკისრეს თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ მიიღონ 50 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. ფიზკულტურელთა ჯგუფმა კი, რომელიც 25 ახალგაზრდას აერთიანებს, ივალდებულა მოსავლელად აიღოს 20 ჰექტარი სიმინდის ნათესი და თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ მოიწიოს 45 ცენტნერი, აგრეთვე მოკრიფოს 15 ტონა „მწვანე ოქრო“.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ახალგაზრდებმა უკვე გააჩაღეს მუშაობა. ისინი ჩქარი ტემპით აწარმოებენ ნიადაგის ხვნას, ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოებს...

—შრომის შემდეგ ჩვენს ახალგაზრდებს ხშირად ნახავთ სპორტულ ბაზებზე ერთმანეთთან შეჯიბრებაში თუ წვრთნაში. ისინი შრომაშიც მარჯვენი არიან და სპორტიც ძალიან უყვართ. ამიტომ არ დავტოვეთ უყურადღებოდ მათი მოთხოვნები: მოვაწყვეთ სტადიონი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, შევიძინეთ ინვენტარი. აქტივისტთა ახლახან გამართულ შეკრებაზე გადაწყდა, რომ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობებს კარგი მაჩვენებლებით შევხვდეთ მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის დარგშიც. შევიძენთ ახალ ინვენტარს, გამოვყოფთ ოთახს ჭადრაკისა და შაშის მოყვარულთათვის, უკვე მოვაწყობთ სპორტულ მოედნებს, — გვითხრა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ბ. გოგონაიამ.

სეფიეთელთა ფიზკულტურულ კოლექტივში რეგულარულად მეცადინეობს სხვადასხვა სექცია. აქაურები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში.

ი. თოფურია.

(ჩვენი კორ.).

აბაშის რაიონი.

## 115-120 პროცენტით

ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შრომას“ კოლექტივი ენთუზიაზმით ეწევა წინასაყრილობო შრომით ვახტს: სახალხო მეურნეობას აწვდის იაფ და მაღალხარისხოვან პროდუქციას. მოწინავეთა შორის ბევრია სპორტსმენი: ი. ლომსაძე, ი. ბარბაქაძე, ა. მუმლაძე, ვ. გაჩეჩილაძე, კ. მელქაძე და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა შეიდწლედის დავალება 1 ნოემბრისთვის გაანაღდა.

შრომელები კვლავაც ნაყოფიერად საქმიანობენ. ისინი ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებენ და არც მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში ჩამორჩებიან.

ა. განუგრაშა.

(ჩვენი კორ.).

ზესტაფონის რაიონი.

# „გიგანტური“ სლალომის ტრასაზე

ბაკურიანი, 19 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). თბილისის ზამთრის სპარტაკიადის პირველ დღეს გამართულმა მორბენალთა ასპარეზობამ ცხადყო მონაწილეთა უმრავლესობის ტექნიკური და ფიზიკური მოუმზადებლობა. სპორტსმენთა დიდი ნაწილის გამოსვლა დისტანციაზე გასეირნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე შეჯიბრებას.

აშკარა იყო, რომ თბილისის ბევრმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა სპარტაკიადაზე გამოგზავნა ბევრი ისეთი „სპორტსმენი“, ვისაც ოდესღაც თხილამურებით უსეირნია, ან ფერდობზე ჩამოსრიალებულა.

მსაჯთა კოლეგიამ კარგად გაითვალისწინა, რომ ასე „მომზადებული“ სამთო-მოთხილამურენი აშკარა ხიფათის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. ამიტომ იგი სწორად მოიქცა, როცა გიგანტური სლალომის ტრასის სირთულე მინიმუმამდე დაიყვანა (სიგრძე —450 მ, 24 კარი, სიმაღლეთა სხვაობა—130 მ). სინამდვილეში ამგვარ ტრასას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ გიგანტური სლალომი, ვინაიდან ასეთი მასშტაბის შეჯიბრებებში 450 მეტრზე მხოლოდ სპეციალურ სლალომში ასპარეზობენ.

ცხადია, ტურნირში უპირატესობა იმათ მხარეს იყო, ვინც უქმად კი არ გაატარა მოსამზადებელი პერიოდი, არამედ აქტიურად იწვრთნებოდა და შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა. გ. აბრამიშვილის, ვ. ალახვერდიევის, ა. დადვანის, შ. ცნობილაძის, ნ. ომიაძისა და სხვა ზოგიერთთათვის ეს „გიგანტური“ სლალომი გასეირნება იყო.

როგორც ვაჟები, ისე ქალები ერთ ტრასაზე ასპარეზობდნენ. ორივეგან პირად პირველობაში მონაწილეებმა გაიმარჯვეს. საამისოდ სპორტის ოსტატ გ. აბრამიშვილს (26 კომისრის სახელობის რაიონი) მხოლოდ 35,6 წამი დაჭირდა, ქალებში უძლიერესს — ნ. ომიაძეს (1 მაისის რაიონი) კი —42,3 წამი. ვაჟებში II ადგილი მოიპოვა ვ. ალახვერდიევმა (ორჯონიკიძის რაიონი) — 37,3, III — ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს ექიმმა ა. დადვანმა — 37,7. ქალთა შორის II იყო შ. ცნობილაძე (სპორტკლუბი „ფეიქარი“) — 43,0. მას 0,3 წამით ჩამორჩა საქართველოს ექს-ჩემპიონი ქ. ჯეირანაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ასეთები თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ. სამწუხაროდ, ბევრი იოლი ტრასის წინაშეც კი შედრკა და სტარტის აღება ვერ გაბედა ან, ასე ვთქვათ, ჩაფოფხდა ფინიშთან. ქალთა შორის სტარტზე გასული 12 სპორტსმენიდან ტურნირი დაამთავრა მხოლოდ ცხრამ. ა. კუჩერენკომ (საავეჯო გაერთიანება „განთიადი“) კი 450 მეტრის გავლას 3 წუთზე მეტი (!) მოანდომა. 53 მონაწილე ვაჟიდან ასპარეზობას გამოაკლდა 15, ბევრმა კი სასაცილოდ დაბალი შედეგი აჩვენა.

ცხადია, საქალაქო სპარტაკიადაში მონაწილეთა მასობრიობა დადებითი მოვლენაა, მაგრამ განა უმჯობესი არ იქნებოდა აჲ შეჯიბრების რაოდენობითი მხარე ხარისხობრივსაც დაემშვენებინა? ფიზკულტურულ კოლექტივებს სპორტსმენებისთვის თუნდაც მოკლევადიანი შეკრება რომ გაემართათ, ასეთი სავალალო ფაქტებიც არ მოხდებოდა.

ორი დღის ასპარეზობის შემდეგ რაიონებს შორის ადგილები ასე ნაწილდება: 1. ორჯონიკიძის, 2. 26 კომისრის, 3. ლენინის; ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის: I ჯგუფში — 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი. 2. ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისანი“, 3. ელმავალსაშენი ქარხანა. II ჯგუფში — 1. ქარხანა „ელექტროგამზომი“, 2. საავეჯო გაერთიანება „განთიადი“, 3-4. ქარხნები „პლასტმასა“ და „ელექტროავტომატი“.

ნ. ცნობილაძე,
შეჯიბრების მთავარი მდივანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ვ. ფანჯაკიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## „ლელო“

# „უბინაონი“

1965 წლის 11 ნოემბერს ჩვენს გაზეთში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ ქარელის რაიონის სპორტკავშირისა და „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს არა აქვთ საკუთარი ბინა.

როგორც საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის მდივანი ხ. ნოზაძე გვატყობინებს, ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რაიონის ხელმძღვანელობამ დასახა სათანადო ღონისძიება.

## სოფლიდან

### ◆ ტყიბული

ორპირში გაიმართა ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასოფლო კოლექტივების გუნდებმა. I ადგილზე გავიდა სოფელ კურსების ნაკრები. სოფელ ხრესილის სპორტულ ბაზაზე კი ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა ასპარეზობა. 10 კოლექტივის ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა.

ზ. ჯორჯაძე.

### ◆ მახარაძე

ერთ თვეს გასტანა რაიონის მოსწავლე გოგონათა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა პირველობამ კალათბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მახარაძის მე-3 და სოფ. გურიანთის საშუალო სკოლების ნორჩი სპორტსმენები. გაიმარჯვეს მესამესკოლელებმა.

შ. კილურაძე.

### ◆ სიღნაღი

აქ გაიმართა ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრება „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობაზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქვემო მაჩხაანის კულტსახლისა და ზოოვეტერინარული ტექნიკუმის გუნდები. გაიმარჯვეს კულტსახლის ფრენბურთელებმა — 2:0.

ვ. მაისურაძე.



# ბუნების წყალობას იყენებენ

მზიანი დღეები დგას შავი ზღვის სანაპიროზე. სოხუმელი ჭაბუკი ველოსიპედისტები ბუნების ამ წყალობას შესანიშნავად იყენებენ და სისტემატურად გადიან სავარჯიშოდ.

აფხაზეთის განათლების სამინისტროს აღსაზრდელებმა 1965 წლის მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში I ადგილი დაიკავეს. გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის ველოსიპედისტებით. მათი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ლ. შენგელია ახლაც გეგმაზომიერად ამეცადინებს თავის აღსაზრდელებს.

ს უ რ ა თ ზ ე: სოხუმელი ველოსიპედისტები მორიგ ვარჯიშზე.

ფოტო და ტექსტი ს. ეოლტიკოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაშის კუთხე

# ტაქტიკური ბრძოლის ხერხები

შაშის თამაშის სხვადასხვა ხერხის ცოდნა ხელს უწყობს მოშაშეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში. მრავალ ხერხს შორის უნივერსალურად ითვლება კომბინაციური, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა მათგანს. ჩვენ განვიხილავთ ტაქტიკური ბრძოლის ხერხებს, რომლებიც უპირატესად განაპირობებენ ენდშპილში თამაშს.



ტაქტიკურ ხერხებს, რომლებიც დაბოლოებაში გამოიყენება, ეკუთვნით: „ტრამპლინი", „მარყუჟი", „მოკვეთა", „ჩანგალი", „ორმაგი დარტყმა" და სხვ.

ამ პოზიციაში, რომელიც აღებულია სსრ კავშირის ჩემპიონატში გათამაშებული ბარამიძე — შარაფოვის პარტიიდან, სვლა თეთრებისაა. ისინი გამარჯვებას აღწევენ „ტრამპლინის". „დროსართისა" და „თვითშეზღუდვის" მეოხებით. 1. fe7 ab4 2. ed8 bc3 3. dg5! cb2 4. gc1 ba1. თეთრებმა შექმნეს „დროსართი", რაც შავების დარტყმით სვლას იწვევს. ეს კი „ტრამპლინის" განხორციელების საშუალებას იძლევა: 5. gf2 და 6. fg3.

იგივე პოზიცია h8 შაშის გარეშე იძლევა სამი ხერხის — „მარყუჟის", „მოკვეთისა" და „ტრამპლინის" შეთავსების საშუალებას.

თეთრები: e5, f6, g1; შავები: a5, h2. 1. fg7 ab4 2. gf2! bc3 (თუ 2. ... hg, მაშინ 3. gh — „მარყუჟი", ხოლო თუ 2. ... ba3 3. fg3 hd6 4. gh8 — „მოკვეთა"). 3. gf8 „ტრამპლინის" მუქარით 4. fg3-ის გზით. თუ 3. ... hg1 4. ed6 — „მარყუჟი".

აი, ნახეთ რა საინტერესოდაა განხორციელებული ნ. კუკუევის ეტიუდში „თვითშეზღუდვის" თემა.

თეთრები: მb2, მc3, b4; შავები: d6, e7, g3, g7, h8. ამოხსნა: 1. ce1 gh2 2. eg3 hf4 3. bc db4 4. ba3 იშვიათი ფინალით.

კარგადაა ერთმანეთთან შეხამებული „ტრამპლინი" და „დამუხრუჭება". თეთრები: e7, h6: შავები: c7, d4, h8. ამოხსნა: 1. ed8 cd6 2. da5 de3 (თუ 2. ... de5 ან 2, ... dc5, მაშინ 3. ad2—„დამუხრუჭება"). 3. ad8 და 4. hg7 — „ტრამპლინი".

პოზიციაში — თეთრები: c5; შავები: b8, f8 — შერწყმულია „ზურგიდან დარტყმა" და „მოკვეთა".

1. cb6 fe7 2. ba7 ed6 3. ab8 dc7 4. ba7 de5 5. ae3 cd6 6. eh6 dc5 (ან 6. ... ed4) 7. hf8.

„დამუხრუჭება" და „ზურგიდან დარტყმა" ორი შემთხვევაა, როდესაც ერთი მარბიელი (დამკა) იგებს ორი ერთმანეთთან მდგომი ცენტრალური პაიკების წინააღმდეგ.

გაეცანით ა. შოშინის ეტიუდს „ზურგიდან დარტყმის" იშვიათი შემთხვევით.

თეთრები: a5, a7; შავები: d8, e5. 1. ab6 ef4 (1. ... ed4 2. bc7×) 2. ab8 fe3 3. bc7 db6 4. ba7×.

პოზიციაში — თეთრები: მd8; შავები: a7, g7, h6 (სვლა შავებისაა) მოცემულია „მოკვეთისა" და „ჩანგლის" შემთხვევა, რომელიც ბოლოს „ორმაგ დარტყმამდე" დაიყვანება.

1. ... hg5 2. dh4 ab6 (2. ... gh6 3. hd8 — „ჩანგალი") 3. hf2 ba5 4. fe1 gf6 5. ec3 fg5 6. cd2 gh4 7. de1 — „ორმაგი დარტყმა".

შაშის კარგად თამაშისთვის დიდ მომზადებასთან ერთად აუცილებელია თამაშის ყველა ხერხის ცოდნა და მათი გამოყენება პრაქტიკაში. ეს კი თავისთავად ხელს უწყობს დაფასთან მოშაშის შემოქმედებითს აზროვნებას.

თ. ბარამიძე,
სპორტის ოსტატი.

# ქართული ტერმინოლოგია

ბოლო წლებში ჩვენში ფართო გავრცელება ჰპოვა შაშის თამაშმა. სამწუხაროდ, დღემდე შაშზე არაფერი დასტამბულა ქართულ ენაზე. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ არ არსებობს შაშის ქართული ტერმინოლოგია. ამიტომ ცხოვრება თავისით აყენებს ამ ტერმინოლოგიის შექმნის საკითხს.

დღეს გთავაზობთ შაშის ქართულ ტერმინოლოგიას. იგი არ არის რუსულიდან უბრალოდ თარგმნილი, არამედ შექმნილია თამაშის შინაარსისა და ქართული ენის ნორმების გათვალისწინებით.

აი, თვით ტერმინები:

| | |
|---|---|
| Шашки | — შაში |
| Шашка | — პაიკი (შაშის) |
| Дамка | — მარბიელი |
| Шашечница | — დაფა (შაშის) |
| Игровые поля | — სათამაშო უჯრედები |
| Косой ряд игровых полей | — სათამაშო უჯრედების ირიბი რიგი |
| Игровые пути | — სათამაშო გზები |
| Большая (главная) дорога | — მთავარი გზა |
| Двойник | — ორგზა |
| Тройник | — სამგზა |
| Косяк | — ირიბ-ირგვლივი გზა |
| Дамочные поля | — სამარბიელო უჯრედები |
| Бортовые поля | — კიდური უჯრედები |
| Тихий ход | — კვლისგარეშე სვლა |
| Ударный ход | — კვლითსვლა |
| Выжидательный ход | — მომლოდინე სვლა |
| Подударная цепь | — კვლითსვლის ჯაჭვი |
| Круг почета | — საპატიო დავლა |
| Удар по тройнику | — სამგზაზე კვლითსვლა |
| Удар по косяку | — ირიბ-ირგვლივზე კვლითსვლა |
| Взрыв дамочного поля | — სამარბიელო უჯრედის გახსნა |
| Скользящий размен | — ასხლეტილი გაცვლა |
| Ударная сила шашки | — პაიკის დარტყმითი ძალა |
| Подударная сила шашки | — პაიკის სამსხვერპლო ძალა |
| Упор | — საბრჯენი (პაიკი) |
| Опорная шашка | — საყრდენი პაიკი |
| Отсталые (слабые) шашки | — ჯაბანი პაიკები |
| Строенные шашки | — წყობილი პაიკები |
| Разрозненные шашки | — განცალკევებული პაიკები |
| Решетчатая позиция | — ცხავური პოზიცია |
| Роздых | — დროსართი |
| Любки | — კარი |
| Вилка | — ორმხრივი დარტყმა |
| Распорка | — ჩანგალი |
| Распутье | — გზაჯვარედინი |
| Столбняк | — ჩიხი |
| Самооблажение | — თვითშეზღუდვა |
| Отсечение (застава) | — მოკვეთა |
| Замирание | — ჩაკეტვა |
| Связка | — შებოჭვა |
| Зажим | — შეზღუდვა (პოზიციის) |
| Кол | — ბუნი |
| Тычок | — ბუნიკი |
| Рожон | — ოროლი |
| Дебют «Кол» | — „ბუნის" დებიუტი |
| «Обратный кол» | — „ბუნი" შავებით |
| «Городская партия» | — „ქალაქური პარტია" |
| «Обратная городская партия» | — „ქალაქური თეთრებით" |
| «Отказанная городская партия» | — „უარყოფილი ქალაქური პარტია" |
| «Отказанная обратная городская» | — „უარყოფილი ქალაქური თეთრებით" |
| «Отыгрыш» | — „ამოგება" |
| «Старая партия» | — „ძველებური პარტია" |
| «Вилочка» | — „ჩანგალა" |
| «Перекресток» | — „დასაწყისი ჭდომა" |
| «Игра Сокова» и т. д. | — „სოკოვის თამაში" და ა. შ. |
| «Обратная игра Бодянского» | — „ბოდიანსკის თამაში" შავებით. |

# საჭადრაკო 1966...

წლევანდელი წელი მდიდარია მრავალი საინტერესო საჭადრაკო მოვლენით. სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ ამას წინათ დაამტკიცა საბჭოთა მოჭადრაკეების შეჯიბრებათა კალენდარული გეგმა.

ფედერაციის პრეზიდიუმმა განსაზღვრა სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს XVII საჭადრაკო ოლიმპიადაში (კუბა, ოქტომბერ-ნოემბერი). გუნდში არიან: ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, მ. ტალი, ლ. შტეინი, ვ. კორჩნოი და ლ. პოლუგაევსკი.

უფრო ადრე — სექტემბერ-ოქტომბერში არგენტინაში გაიმართება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პირად-გუნდური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია სსრ კავშირის გუნდიც. მის შემადგენლობაში არიან: მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ე. გელერი და მ. ტაიმანოვი.

11 მოჭადრაკე, რომლებიც დაიცავენ ჩვენი ქვეყნის სახელს კუბასა და არგენტინაში, აგრეთვე დიდოსტატი დ. ბრონშტეინი, პერსონალურად მიწვეული არიან სსრ კავშირის XXXIV ჩემპიონატის ფინალში. ეს ტურნირი შედის მსოფლიო პირველობის გათამაშების მორიგ ციკლში და თბილისში გაიმართება. სხვათა შორის, ფედერაციის პრეზიდიუმმა შეცვალა ჩემპიონატის გამართვის თარიღი: ტურნირი დაიწყება 20 დეკემბერს და დასრულდება 1967 წლის 20 იანვარს. ამ ასპარეზობაში 3 გამარჯვებული დაიშვება მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში.

სსრ კავშირის ქალთა XXVI ჩემპიონატი გაიმართება წლის დამლევს ვოლგოგრადში.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შედგება ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა. ფედერაციის პრეზიდიუმმა განსაზღვრა გუნდის მიახლოებითი შემადგენლობა: მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კოზლოვსკაია და ა. კუშნირი. სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც ოლიმპიადის წინ გაიმართება, მიწვეული არიან აგრეთვე ტ. ზატულოვსკაია, მ. რანიკე, ვ. ბორისენკო.

საბჭოთა მოჭადრაკეები მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაში მიიღებენ მონაწილეობას. ტრადიციული ამხანაგური მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის დანიშნულია სოხუმში 10-25 ივნისს. ჩიგორინის სახელობის ტრადიციული ტურნირი გაიმართება სოჭში ივნისის დამლევს, ხოლო სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა ლატვიის აგარაკ კემერიში, ივლისში.

ბევრ საბჭოთა მოჭადრაკეს მოუწევს გამოსვლა საზღვარგარეთულ ტურნირებში: ლოს-ანჟელოსში, მარ-დელ-პლატაში, სარაევოში, ტელ-ავივში და სხვ.

ცნობილი გახდა, რომ ნ. გაფრინდაშვილი ბევერვეიკის საჭადრაკო ფესტივალიდან მიწვეულია ქალაქ ზვოლში (ჰოლანდია) პატარა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ცნობილია ამ ტურნირის მონაწილეთა დაახლოებითი შემადგენლობა: დიდოსტატები ლ. საბო (უნგრეთი), მ. ბობოცოვი (ბულგარეთი), ოსტატები რ. რელშტაბი (გფრ), გ. ჰარტოჰი და დ. ვან-ჰაიტი (ჰოლანდია).

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი.




# სავიზიტო ბარათები

საფრანგეთის ნაკრების ფინალში გასვლას მიმომხილველები თვლიან მისი მწვრთნელის ა. გერენის დიდ დამსახურებად. ფრანგებმა I ადგილი დაიკავეს იუგოსლაველებთან (0:1, 1:0), ნორვეგიელებთან (1:0, 1:0) და ლუქსემბურგელებთან (2:0, 4:1) ბრძოლაში.

ფრანგები მონაწილეობდნენ მსოფლიოს I ჩემპიონატში, სადაც სძლიეს მექსიკას (4:1), წააგეს ჩილისა (0:1) და არგენტინის (0:1) გუნდებთან. II ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მათ სძლიეს ლუქსემბურგს (6:1), ფინალში კი წააგეს ავსტრიელებთან (2:3) და გამოეთიშნენ გათამაშებას.

ფრანგები თვით იყვნენ III ჩემპიონატის მასპინძლები. მათ მოუგეს ბელგიელებს (3:1), მაგრამ მეოთხედფინალში დამარცხდნენ მსოფლიო ჩემპიონებთან — იტალიელებთან (1:3) და დატოვეს გათამაშება.

IV ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში „სამფეროვნებმა" (ახეთია საფრანგეთის ნაკრების ფორმა) წააგეს იუგოსლავიასთან (1:1, 1:1, 2:3) და ვერ გავიდნენ ფინალში. V ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ფრანგებმა იოლად სძლიეს ლუქსემბურგისა (6:1, 8:0) და ირლანდიის (5:3, 1:0) გუნდებს. ფინალურ ჯგუფში მათ წააგეს იუგოსლაველებთან (0:1), მოუგეს მექსიკას (3:2) და ვერ მოხვდნენ მეოთხედფინალში.

VI ჩემპიონატში ფრანგებმა საუცხოოდ ითამაშეს. შესარჩევ თამაშებში მათ ჩამოიცილეს ბელგია (6:3, 0:0) და ირლანდია (8:0, 5:1), ფინალში კი საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. მიმომხილველებს მიაჩნდათ, რომ ფრანგების თავდასხმის ხუთეული ვისნესკი — ფონტენი — კოპა — პიანტონი — ვენსანი მხოლოდ ბრაზილიელებს თუ ჩამოუვარდებოდა. ფინალურ ჯგუფში ფრანგებმა სძლიეს პარაგვაის (7:3), შოტლანდიას (2:1) და იუგოსლავიასთან დამარცხების (2:3) მიუხედავად, გავიდნენ მეოთხედფინალში. აქ ფრანგებმა პირდაპირ „მუსრი გაავლეს" (4:0) ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს, მაგრამ ნახევარფინალში წააგეს (2:5) ბრაზილიელებთან. III ადგილისთვის დანიშნულ მატჩში „სამფეროვნებმა" ეფექტური გამარჯვება იზეიმეს გფრ-ის გუნდთან— 6:3.

VII ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ფრანგებმა ორჯერ სძლიეს ფინელებს (2:1, 5:1), მაგრამ წააგეს ბულგარეთთან (3:0, 0:1, 0:1) და ფინალში ვერ მოხვდნენ.

ფრანგების ნაკრების ძირითად მეკარედ ითვლება ობური, რომელსაც შეიძლება კონკურენცია გაუწიოს საუკეთესო ფორმაში მყოფმა ვეტერანმა ბერნარმა.

დაცვაში გამოდიან კარდიე, ბოსკიე, ბუძინსკი, შორდა და არტელეზა.

საფრანგეთის ნაკრების უძლიერესი რგოლია ნახევარდაცვა. აქ თამაშობენ ერბენი, ბონელი და მიულერი, რომელიც ახლა „ბარსელონაში" გამოდის. წყვილი ერბენი — მიულერი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უძლიერესად ევროპაში.

თავდასხმაში თამაშის კანდიდატებად ითვლებიან დიუ, კომბენი, გონდე, დი ნალო, სიმონი, ლეში, სოვაჟი და ოსერი.

რა შანსები აქვს „სამფეროვანთა გუნდს" ლონდონში? სპეციალისტების აზრით, იგი გავა მეოთხედფინალში, მერე კი — ვინ იცის...



პარიზი. შესარჩევი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის (გაიმარჯვეს ფრანგმა ფეხბურთელებმა — 1:0).

სურათზე: საფრანგეთის თავდამსხმელთა მორიგი იერიში მეტოქის კარზე. იუგოსლაველთა მეკარე შოშკიჩი იგერიებს ძნელ ბურთს.



საბჭოთა ჩოგბურთელების თ. ლეიუსისა და ა. მეტრეველის სახელები დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს, — მათმა ოსტატობამ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა.

სურათზე: ა. მეტრეველი (მარცხნივ) და თ. ლეიუსი.

ფოტო ი. იუნაევისა.

# კვლავ იტალიელებთან

**მელბურნი, 18 იანვარი.** აქ გაიმართა დევისის თასის გათამაშების წილისყრა. საბჭოთა ჩოგბურთელების პირველი მეტოქენი იქნებიან იტალიელები. საბჭოთა სპორტსმენები ერთხელ (1962 წელს) უკვე შეხვდნენ იტალიელებს და წააგეს — 0:5.

ევროპის ზონაში წლეულს იბრძოლებს 5 კონტინენტის 32 გუნდი. კონტინენტური დაყოფა გათამაშებაში პირობითი ცნებაა. მაგალითად, ევროპის ზონაში ითამაშებენ თურქეთის, მაროკოს, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის, ბრაზილიისა და ახალი ზელანდიის გუნდები.

ზონალური შეჯიბრებები ახლებურად გაიმართება. გუნდები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. თვითეულ ჯგუფში გამარჯვებული იბრძოლებს საზონათშორისო ტურნირში, სადაც ამერიკისა და აზიის საუკეთესო გუნდებთან ასპარეზობაში გამოირკვევა თასის მფლობელის — ავსტრალიის ნაკრების მეტოქე.

„ა" ჯგუფში წყვილები ასე გამოიყურება: ესპანეთი — იუგოსლავია, ბრაზილია — დანია, შვეცია — პოლონეთი, თურქეთი — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, საფრანგეთი — რუმინეთი, ფინეთი — კანადა, ჩეხოსლოვაკია — ავსტრია, ისრაელი — პორტუგალია.

„ბ" ჯგუფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ლუქსემბურგი — შვეიცარია, ნორვეგია — გფრ, უნგრეთი — საბერძნეთი, ახალი ზელანდია — ინგლისი, მონაკო — მაროკო, სსრ კავშირი — იტალია, ჰოლანდია — ირლანდია, ბელგია — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

წყვილთა I წრის თამაშები უნდა დამთავრდეს 1 მაისამდე, II წრისა — 15 მაისამდე, III წრისა — 12 ივნისამდე, ხოლო ფინალური მატჩები — 17 ივლისამდე.

▲ **ვარშავა.** აქ დამთავრდა ფაშიზმისგან პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 21-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული დღესასწაული. კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა კიევის გუნდმა, რომელმაც ფინალში მოუგო ვარშავის სტუდენტთა ნაკრებს — 72:56. III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლეგია" და პრაღის გუნდი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 92:73. საუკეთესო მოთამაშეთა შორის დასახელებულია კიეველი ვ. გლადუნი.

▲ **ბრანდევალდი.** აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი ქალთა გიგანტურ სლალომში მოიგო შვეიცარიელმა ობრეხტმა. II ადგილზე გავიდა ავსტრიელი ციმერმანი, III — ამერიკელი შელოურტი. ოლიმპიური ჩემპიონი მ. გოიჩელი (საფრანგეთი) V ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, იგი უძლიერესი იყო სპეციალურ სლალომში.

▲ **პრაღა.** ევროპის ფიგურისტთა ჩემპიონატში, რომელიც ბრატისლავაში 1-6 თებერვალს გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის, ჰოლანდიის, გდრ-ის, გფრ-ის, უნგრეთის, იტალიისა და სსრ კავშირის გუნდები.

▲ **ვენა.** ავსტრიის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ფინანსური სიძნელეების გამო იგი ხსნის თავის კანდიდატურას 1972 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მოწყობაზე.

▲ **სტოკჰოლმი.** მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში, იაპონელი ოგიმურა შვეციის ნაკრებს ამზადებს ევროპის პირველობისთვის, რომელიც აპრილში ლონდონს გაიმართება.

▲ **ბადენ-ბადენი** (შვეიცარია). აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 1650-მეტრიანი გიგანტური სლალომის ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 410 მ, 54 კარი) ყველაზე სწრაფად გაიქროლა ამერიკელმა სტუდენტმა, 22 წლის ბ. კილმა — 1.49,49. II იყო შვეიცარიელი ხ. კელინი — 1.49,57, III — ფრანგი გ. პეერია — 1.50,0.

▲ **კიოლნი.** გფრ-ის კრივის ფედერაციამ წამოაყენა თავისი კანდიდატურა — იყოს კრივში 1967 წლის ევროპის პირველობის მასპინძელი.

▲ **გდანსკი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და ისლანდიის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს პოლონელებმა — 27:19 (14:8).

# ჟურნალისტთა აზრით

იუგოსლავიურმა გაზეთმა „სპორტმა" ევროპის ქვეყნების სპორტულ ჟურნალისტებს თხოვნით მიმართა მოეხდინათ კონტინენტის ფეხბურთელთა გუნდების კლასიფიკაცია გასული სეზონის შედეგების მიხედვით და შეედგინათ ევროპის ნაკრები.

აი, პასუხებიც:

**პ. ბატუ („სპორტულ პოპულარი", ბუქარესტი):** 1. ინგლისი, 2. სსრ კავშირი, 3. უნგრეთი, 4. იტალია, 5. პორტუგალია; იაშინი, შნელინგერი, ფაკეტი, მური, პოპლუჰარი, ვორონინი, სუარესი, პირკალაბი, ეუსებიო, ასპარუხოვი, ჩარლტონი.

**პ. ბრინი („ტაიმსი", ლონდონი):** 1. იტალია, 2. პორტუგალია, 3. ინგლისი, 4. სსრ კავშირი, 5. გდრ; ნიკოლაი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ვორონინი, სალვადორე, ბაქსტერი, მაგუსონი, გრივსი, ეუსებიო, ჩარლტონი.

**დ. ნემეტი („ნეპშპორტი", ბუდაპეშტი):** 1. ინგლისი, 2. უნგრეთი, 3. იტალია, 4. სსრ კავშირი, 5. ესპანეთი; იაშინი, მატრაი, ფაკეტი, კოლუნა, შესტერნიოვი, შნელინგერი, მეტრეველი, მაცოლა, ალბერტი, ეუსებიო, ჩარლტონი.

**ი. მელარტი („უსი სუომი", ჰელსინკი):** 1. სსრ კავშირი, 2. პორტუგალია, 3. უნგრეთი, 4. იტალია, 5. გფრ; იაშინი, შნელინგერი, ფაკეტი, ბაქსტერი, ჟერმანო, ვორონინი, ამანსიო, ეუსებიო, მაცოლა, ლოუ, სუარესი.

**ჰ. ფიდერერი („სპორტ მაგაზინი", ნიურნბერგი):** 1. იტალია, 2. სსრ კავშირი, 3. გდრ, 4. ინგლისი, 5. უნგრეთი; იაშინი, იუსუპი, შნელინგერი, ვორონინი, სალვადორე, ბაქსტერი, ამანსიო, ეუსებიო, მაცოლა, სუარესი, ტომპსონი.

**მ. მერჟანოვი („ფუტბოლი", მოსკოვი):** 1. უნგრეთი, 2. სსრ კავშირი, 3. იტალია, 4. ინგლისი, 5. ესპანეთი; იაშინი, შნელინგერი, ფაკეტი, შესტერნიოვი, მესეი, ვორონინი, სუარესი, მეტრეველი, რივერა, ეუსებიო, ჩარლტონი.

**ვ. ფუქსი („კოპანა", პრაღა):** 1. სსრ კავშირი, 2. იტალია, 3. ინგლისი, 4. პორტუგალია, 5. უნგრეთი: იაშინი, ლალა, ფაკეტი, შნელინგერი, ჟერმანო, ვორონინი, მეტრეველი, გრივსი, მაცოლა, ეუსებიო, სიმოესი.

**ფ. შლატერი („ლოზანსპორტი", ლოზანა):** 1. პორტუგალია, 2. სსრ კავშირი, 3. უნგრეთი, 4. იტალია, 5. ესპანეთი; იაშინი, ბურგნიჩი, ფაკეტი, პონომარიოვი, ურბანჩიკი, ვორონინი, ამანსიო, კუნი, ეუსებიო, სუარესი, კორსო.

**მ. კანოტასი („თესალონიკი", სალონიკი):** 1. ინგლისი, 2. იტალია, 3. სსრ კავშირი, 4. უნგრეთი, 5. ჩეხოსლოვაკია; იაშინი, ფაკეტი, შნელინგერი, ვორონინი, ბაქსტერი, მასოპუსტი, მეტრეველი, მაცოლა, სუარესი, ეუსებიო, ჩარლტონი.

**ა. იასნიკოვი („ნაროდენ სპორტი", სოფია):** 1. სსრ კავშირი, 2. უნგრეთი, 3. ინგლისი, 4. პორტუგალია, 5. იტალია; იაშინი, ჰეილენსი, ფაკეტი, პოპლუჰარი, მესეი, ვორონინი, სუარესი, აუგუსტო, ეუსებიო, ალბერტი, მესხი.

**ჰ. ფრიდემანი („დოიჩე შპორტეხო", ბერლინი):** 1. იტალია, 2. სსრ კავშირი, 3. ინგლისი, 4. უნგრეთი, 5. პორტუგალია; იაშინი, ლალა, ფაკეტი, ვორონინი, მესეი, ბაქსტერი, მეტრეველი, ამანსიო, ალბერტი, ლოუ, ჩარლტონი.

**ვ. ალექსანდროვიჩი („პშეგლონდ სპორტოვი", ვარშავა):** 1. სსრ კავშირი, 2. იტალია, 3. ინგლისი, 4. უნგრეთი, 5. პორტუგალია; იაშინი, შნელინგერი, ფაკეტი, ვორონინი, ჟერმანო, სუარესი, მეტრეველი, ეუსებიო, მაცოლა, რივერა, პასკუტი.

თვით **იუგოსლავიაში** გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პრესის, რადიოსა და ტელევიზიის 16-მა რედაქტორმა. აი, შედეგები: 1. ინგლისი, 2. სსრ კავშირი, 3. იტალია, 4. პორტუგალია, 5. უნგრეთი; იაშინი, შნელინგერი, ფაკეტი, ვორონინი, ჯ. ჩარლტონი, ვასოვიჩი, მეტრეველი, სუარესი, ეუსებიო, ლოუ, რ. ჩარლტონი.

ხმების უმრავლესობით კონკურსში ევროპის საუკეთესო გუნდად აღიარებულ იქნა სსრ კავშირის ნაკრები.

# რას ფიქრობენ სამხრეთ ამერიკაში?

სამხრეთ ამერიკის პრესა აქვეყნებს მასალებს მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის წინ. გაზეთები ათავსებენ სპეციალისტების აზრს სსრ კავშირის ნაკრებსა და ცალკეულ მოთამაშეებზე. აი, ზოგიერთი მათგანი:

**პელე:** საბჭოთა კავშირის ნაკრები ახლა უწინდელზე უკეთესად თამაშობს. დაცვის მოქმედება კარგადაა ორგანიზებული. ცენტრალური თავდამსხმელი ბანიშევსკი თანამედროვე სტილით თამაშობს და დიდი მომავალიც აქვს.

**ზუბელდია** (არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი): ყურადღებას იპყრობს გუნდის საუცხოო ფიზიკური მომზადება. საბჭოთა ფეხბურთელები რაც მეტს თამაშობენ, უფრო მეტად „შედიან ეშხში". მცველები მჭიდროდ „იყვანენ" მეტოქის თავდამსხმელებს და გასაქანს არ აძლევენ. მესხი შესანიშნავი ფეხბურთელია. ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში პირველ ოთხეულში იქნება.

**მილანსი** (ურუგვაის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი): საბჭოთა კავშირის ნაკრები ფიზიკურად საუკეთესოდაა მომზადებული. იგი მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატად მიმაჩნია.

**როხასი** (ცნობილი ჩილიელი ნახევარმცველი): იაშინი დიდი მეკარეა, მაგრამ, ჩემი აზრით, ხანდაზმულობის გამო იგი შეცდომებს უშვებს.

**არტიმე** (არგენტინის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი): ჩვენ ვთამაშობთ ელეგანტურ ფეხბურთს, ნელი ტემპით, ზუსტი კომბინაციებით. მოთამაშეებს უჭირთ ბურთთან გამოთხოვება. მაგრამ ასეთი თამაში საბჭოთა გუნდთან არაეფექტური აღმოჩნდა იმის გამო, რომ მეტოქე ძალიან სწრაფად მოძრაობდა.

ცნობილი ბრაზილიელი ფორვარდი **გარინჩა** სსრ კავშირის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად არ მიიჩნევს. იგი ამბობს: ჩემი ქვეყნის — ბრაზილიის ფეხბურთელები მესამედ გახდებიან მსოფლიოს ჩემპიონები. იტალია და უნგრეთი ჩვენი სერიოზული მეტოქეები არიან. ინგლისის ფეხბურთის ძალა კი არა მწამს. იგი ახლა ძალიან მარტივია. მას არ ახასიათებს იმპროვიზაცია და სიმწვავე, რომლითაც გამოირჩევა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი.



**გარინჩა.**

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

# ისევ ა. გეეზინკი

**ჰოლანდიის** ჟურნალ-გაზეთების, სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციების 37 წარმომადგენელი მონაწილეობდა კონკურსში, რომელსაც უნდა გამოევლინა ჰოლანდიის 1965 წლის საუკეთესო სპორტსმენი. ვაჟთა შორის ეს ტიტული მოიპოვა მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ძიუდოისტმა ანტონ გეეზინკმა. აღსანიშნავია, რომ იგი მეორე წელია ინარჩუნებს თავისი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენის სახელს.

ქალთა შორის ხმების უმრავლესობა მიიღო მსოფლიოს რეკორდსმენმა ბატერფლაის სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვაში, 18 წლის ადა კოკმა.

# ცურვა აკაქებს სხეულს

თბილისის რესპუბლიკურ ზამთრის საცურაო აუზზე (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) მუშაობენ მუდმივმოქმედი ფასიანი საააბონემენტო ჯგუფები ცურვაში. მეცადინეობა ტარდება: გოგონებისა და ჭაბუკებისთვის ყოველდღე: დილით — 9-დან 10 საათამდე და ნაშუადღევს — სამის ნახევრიდან ოთხის ნახევრამდე; ქალებისთვის — ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობითა და კვირაობით: დილით — 7 ს. 30 წუთიდან 8 ს. 30 წუთამდე, დღისით — 12-დან 12 ს. 45 წუთამდე; მამაკაცთათვის — სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით: დილით — 7 ს. 30 წუთიდან 8 ს. 30 წუთამდე, ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობითა და კვირაობით — დღისით 13 ს. 20 წუთიდან 14 ს. 05 წუთამდე, საღამოს — 22-დან 22 ს. 45 წუთამდე.

მეცადინეობაზე დაიშვებიან ის პირნი, რომლებსაც გავლილი აქვთ სათანადო სამედიცინო შემოწმება და შეუძლიათ გაცურონ 10-15 მეტრი. ჯგუფებში მომეცადინეთ შეასწავლიან სპორტული ცურვის სხვადასხვა სტილს. ჯგუფებში მეცადინეობის მსურველებმა უნდა მიმართონ აუზის დირექციას.

აუზის დირექცია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**თბილისის სპორტულ ცხოვრებაში**

**კრივი.** ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. **21-23 იანვარი. თბილისის პირადი პირველობა.** შეჯიბრების მთავარი მსაჯი — რინგის ვეტერანი, პროფ. ა. ცაგარელი. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66415

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ № 14.

უე 04819